დანართი №6

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

სსიპ ქალაქ თბილისის N176 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი;

წევრი: ნინო შიუკაშვილი

ნაწილი I. შესავალი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი ყუჯრა):

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ თბილისის N 176 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	206031907

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	ვარკეთილის მე-4 მიკრო რაიონი მე-2 რიგი
საფოსტო ინდექსი	0180
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/257?schoolName=
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	სკოლას ვებ-გვერდი არ აქვს
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	tbilisi176@mes.gov.ge

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 8 25 0001022489; 25.08.2025
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	22,23 სექტემბერი 2025წ.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
1550	1473

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

დაწესებულებაში ძლიერ მხარედ სახელდება არაფორმალური განათლება, რომელიც სასკოლო კურიკულუმის ნაწილია, მოსწავლეებს აქვთ მრავალფეროვან პროექტებსა და აქტივობებში ჩართვის შესაძლებლობა, რაც მათ თვითრეალიზებას უწყობს ხელს.

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას და სტანდარტის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას. გეგმაში ასახული აქტივობები და შესრულების ვადები რელევანტურია და მისაღწევი.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

-

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[1]

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
N 3.5.1.2	*დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები დ მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის*	*დაწესებულებამ სტანდარტის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმ მიხედვით, 23.09.2026 წლამდე უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა.*
N 3.5.1.4	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს*	*დაწესებულებამ სტანდარტის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმ მიხედვით, 23.09.2026 წლამდე უზრუნველყოს პანდუსის მოწყობა.*

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
1.2.1.1	*სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.*	*სკოლას მიეცა რჩევა სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულებისას გაზომვადი ინდიკატორები გამოიყენოს, ასევე რესურსების ნაწილში გამიჯნოს ფინანსური რესურსი.*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
N 3.4.1.6.		*რჩევა დაასაქმოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია	შესრულების სტატუსი
1.1.1.1	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;	სკოლამ უზრუნველყოს სკოლის ახალი მისიის და ხედვის დამტკიცება, რომელიც შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. სკოლამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (20.06.2024 მდე)	შესრულებულია
1.1.1.2	სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;	სკოლამ განსაზღვროს საკუთარი როლი სასკოლო საზოგადოების უსაფრთხო და პიროვნულ განვოთარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურულ სივრცის ჩამოყალიბების პროცესში,წარმოაჩინოს სკოლის დანიშნულე -შეუქმნას მოსწავლეს ყველა პირობა, რომ თავი მაქსიმალურა დაცულად იგრძნოს და შეძლოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება.სკოლამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (20.06.2024 მდე)	შესრულებულია
1.1.1.3	*სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია*	სკოლამ უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების ჩართულობით სკოლის სკოლის მისიის,ხედვის და ღირებულებების შემუშავება.რისთვისაც შესაძლებელია	შესრულებულია

	სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;	გამოყენებული იყოს კვლევის სხვადასხვა ინსტრუმენტები.სკოლამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (20.06.2024 მდე)	
1.1.1.4	*სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;*	დაწესებულებამ უზრუნველყოს სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების გაზიარება სასკოლო საზოგადოების მიერ, იმგვარად , რომ ,, ჩვენ“ განცდის დანერგვა მოხდეს სასკოლო საზოგადოებაში.სკოლამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (20.06.2024-მდე)	შესრულებულია
1.1.1.5	*სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;*	დაწესებულებამ უზრუნველყოს საბოლოოდ შეთანხმებული მისიის, ხედვის და ღირებულებების საჯაროობის უზრუნველყოფა მისთვის ხელსაყრელი ყველა საკომუნიკაციო არხით და ფორმით.სკოლამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (20.06.2024 მდე)	შესრულებულია
1.2.1.2	*სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნებ სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნე და მიზნების შესაბამის ამოცანებს;*	დაწესებულებამ უზრუნველყოს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის დამტკიცება,სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში, რეკომენდებულია არსებული მდგომარეობის შეფასება, ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება, სტრატეგიული მიზნების ფორმულირება, მხედველობაში უნდა იქონიოს სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, როგორც უმაღლეს დონეზე დეკლარირებული პრინციპები, რომელთან წინააღმდეგობაშიც არ უნდა მოდიოდეს სტრატეგიული მიზნები და აქტივობები.სკოლამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (20.06.2024 მდე)	შესრულებულია
1.2.1.4	*სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი*	მნიშვნელოვანია დაწესებულებამ შეიმუშაოს სამოქმედო გეგ და ასახოს მასში ინდიკატორით გათვალისწინებული ყველა ინფორმაცია.სკოლამ უზრუნველყოს წარმოდგენილი	შესრულებულია

	ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულებ *და შესაბამისი რესურსები, რომელთ* *უზრუნველყოფაც რეალისტურია.*	შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (20.06.2024 მდე).	
სტანდარტი N3		**სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია**	**შესრულების სტატუსი**

3.1.2.4	*პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობა*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (20.06.2024 მდე)* *პერსონალის შერჩევის დროს დაადგინოს სავალდებულო დოკუმენტების წარმოდგენის ნუსხა ,სადაც გათვალისწინებული იქნება კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტებიც.*	შესრულებულია
3.2.1.1	*სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსონალის შეფასებისა და პროფესიულ განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმის შემუშავება და დანერგვა , რომლიც პერსონალის შეფასებისას მიმართული იქნება იმაზე , თუ რამდენად არის მათი ქმედებები და მიზნები თავსებადი სკოლის მიზნებსა დ სტრატეგიულ ხედვასთან, სამოქმედო გეგმებთან, რამდენად უწყობს ხელს სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებას.დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (20.06.202 მდე).*	შესრულებულია
3.3.1.1.	*სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისა*	*ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად რეკომენდებულია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის ათვლის წერტილ იყოს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, რევიზია), რომელ პროცესების კვლევას და მათ შემდგომ განვითარებას გულისხმობს.დაწესებულებამ უზრუნველყოს*	შესრულებულია

		წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (01.09.2024 მდე).	
3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას დ პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (01.12.2023 მდე). კერძოდ, შესაბამისი კვალიფიკაციის და რაოდენობის ექიმი დასაქმება სკოლაში, ასევე საგანგებო სიტუაციების დროს რეაგირების გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან*	შესრულებულია
3.3.1.1.	*სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისა*	*ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად რეკომენდებულია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის ათვლის წერტილ იყოს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, რევიზია), რომელ პროცესების კვლევას და მათ შემდგომ განვითარებას გულისხმობს.დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (01.09.2024 მდე).*	შესრულებულია
3.5.1.3	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (20.06.2024 მდე).კერძოდ,მოაწყოს პანდუსი სართულებს შორის გადაადგილების მიზნით.*	არ არის შესრულებული
3.6.3.1	*სკოლა ახორციელებს საზოგადოები ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (20.06.2024 მდე).კერძოდ, შექმნას ოფიციალური ვებ გვერდი, რითაც მოახდეს საზოგადოების ინფორმირებულობას .*	შესრულებულია
3.6.3.4	*სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე ი*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (20.06.2024 მდე).კერძოდ, შექმნას იფიციალურ*	შესრულებულია

	ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;	ვებ გვერდი, რითაც მოახდეს საზოგადოების ინფორმირებულობას ქართულ ენაზე.	
3.6.3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაცი სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (20.06.2024 მდე),კერძოდ, ვებ გვერდზე განათავსოს ინფორმაცია სკოლის საქმიანობის შესახებ, ასევე რაც ინდიკატორით არის გათვალისწინებული.	შესრულებულია

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;**

სსიპ ქალაქ თბილისის N176 საჯარო სკოლამ (შემდგომში,,სკოლა'', ,,დაწესებულება'') დაწესებულებაში ვიზიტის დროს წარმოადგინა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რჩევების გათვალისწინებით შემუშავებული სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტი.კერძოდ, დაწესებულების მისიაში გაცხადებულია, რომ სკოლამ უნდა შექმნას *მოსწავლეზე ორიენტირებული, ინკლუზიური და მხარდამჭერი საგანმანათლებო გარემო, სადაც თითოეული მოსწავლე აღიზრდება თავისუფალი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე პიროვნებად. სკოლაში მიღებული ცოდნა და შეძენილი პრაქტიკული უნარ-ჩვევები საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, შეძლონ XXI საუკუნის გამოწვევებთან გამკლავება. დაეხმარება მათ, მზად იყვნენ რეალური ცხოვრებისა და პროფესიული სიღრმეებისთვის, თითოეული მოსწავლე გახდეს განათლებული, პასუხისმგებლიანი და აქტიური მოქალაქე, ასევე წიგნიერი, მოაზროვნე, შემოქმედებითი და კონკურენტუნარიანი ადამიანი.*
სკოლის უმთავრესი მისია მოსწავლეთა პროფესიულ ორიენტაციაზე უწყვეტი ზრუნვა.

სკოლის ხედვაა, *სკოლა იყოს* *პროგრესული და ინოვაციური საგანამანათლებლო სივრცე, რომელიც მუდმივად ვითარდება ...*

სკოლის მიერ შემუშავებულ მისიასა და ხედვაში პრიორიტეტი ენიჭება მოსწავლეებში ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების, თვითდამკვიდრებისა და რეალიზებისათვის მნიშვნელოვანი უნარების ჩამოყალიბებას, რაც თავის მხრივ შეესაბამებამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;**

სკოლის მისიასა და ხედვაში ძირითადად აქცენტი გაკეთებულია მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებაზე. დაწესებულება მიზნად ისახავს აღზარდოს თავისუფლად და გლობალურად მოაზროვნე მოქალაქეები,რომლებიც გაუმკლავდებიან XXI საუკუნის გამოწვევებს, ხოლო *სკოლაში მიღებული ცოდნა და შეძენილი პრაქტიკული გამოცდილება დაეხმარება მათ, მზად*

იყვნენ რეალური ცხოვრებისა და პროფესიული სიღრმეებისთვის, სკოლის უმთავრესი მისიაა მოსწავლეთა პროფესიულ ორიენტაციაზე უწყვეტი ზრუნვა.

ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილ ხედვაში ხაზგასმულია სკოლის, როგორც მუდმივად განვითარებად საგანმანათლებლო სივრცეზე , რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლეთა პოტენციალის გამოვლენასა , ფორმალური და არაფორმალური განათლების გაძლიერების გზით, როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული შრომის ბაზარზე დამკვიდრებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ახლადშემუშავებული მისია და ხედვა მოწმობს, რომ სკოლას სრულიად გააზრებული აქვს საკუთარი როლი მოსწავლეთათვის უსაფრთხო გარემოს შექმნასა და მათ პიროვნულ განვითარების საკითხში.აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;**

სკოლამ შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადის დაცვით შეიმუშავა, ჩამოაყალიბა და დაამტკიცა სკოლის ფილოსოფია, რომელიც დეკლარირებულია სკოლის გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიულ გეგმაში.

როგორც სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიურებიდან და სასკოლო საზოგოადოების წევრებთან გასაუბრებით დადგინდა, მისია, ხედვა , ღირებულებების შემუშავების პორცესი მიმდინარეობდა **ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის** დოკუმენტში გაწერილი ეტაპების მიხედვით. აღსანიშნავია , რომ მეთოდოლოგიის დოკუმენტში (**მუხლი 5.**) მოხსენიებულია მხარეები, კერძოდ, სასკოლო საზოგადოება (სკოლის დირექცია, თანამშრომლები, მასწავლებლები, საბაზო/საშუალო საფეხურის მოსწავლეები, მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები), რომლებიც ჩართულნი უნდა იყვნენ ფილოსოფიის შემუშავების პროცესში.

სკოლამ წარმოადგინა კითხვარები, რომლებიც დაურიგდა სასკოლო საზოგადოებას, ასევე კვლევის ანალიზი და ანგარიში , რის საფუძველზეც შეიქმნა და დამტკიცდა დოკუმენტის საბოოლოო ვერსია . ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

სკოლის ფილოსოფიის პროექტი შეიმუშავებულ იქნა დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სამუშაო ჯგუფის მიერ. პროექტის შემუშავებას წინ უძღვოდა სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა და კვლევის ანალიზი. უკუკავშირის მიღების მიზნით, განიხილეს პედაგოგიურ საბჭოზეც. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა სკოლამ უზრუნველყო დოკუმენტის შემუშავების ეტაპზე საბოლოო სახით ფორმულირებამდე .

საბოლოო სახით დამტკიცებული დოკუმენტის გასაზიარებლად კი, სკოლამ გამოიყენა სხვადასხვა პლატფორმა: სკოლის ვებ-გვერდი, სოციალური ქსელის დახურული ჯგუფები, ასევე გამოკრული იქნა სკოლის ფოიეში საინფორმაციო დაფაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;**

სკოლის მისია და ხედვა საჯაროდ არის ხელმისაწვდომი. გამოკრულია სკოლის შენობაში, თვალსაჩინო ადგილას, ასევე გაზიარებულია სკოლის Facebook - გვერდსა და ოფიციალურ ვებ-გვერდზე. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.**

სკოლაში ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში საქართველო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანების „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ მიხედვით,სკოლის სახელწოდებად განსაღვრული იყო : სსიპ ქალაქ თბილისის N176 საჯარო სკოლა. შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის N176 საჯარო სკოლის ფიოლოსოფიის დოკუმენტი
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- კვლევის კითხვარის ნიმუში
- კვლევის ანალიზი
- სკოლის ვებ-გვერდი https://skolebi.emis.ge/schools/257?schoolName=
- ინტერვიუ მასწავლებლებთან/მოსწავლეებთან/მშობლებთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა დოკუმენტი სახელწოდებით ,,**ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია**''. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დადგენილია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპები(მუხლი 2.)

1. **თანამონაწილეობა**
2. **სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება** -
3. **გამჭვირვალობა**
4. **ანგარიშვალდებულება**

ასევე ეტაპები და წესები თუ როგორ უნდა განხორციელდეს სკოლაში სტრატეგიული დაგეგმვა. დოკუმენტის მიხედვით სტრატეგიული დაგეგმვის პირველ ეტაპზე ხდება სკოლის პერსონალის, ბენეფიციარებისა (მშობლები, მოსწავლეები) და სხვა დაინტერესებული პირებისაგან ინფორმაციის შეგროვება დაწესებულების შიდა პროცესების, დამოკიდებულებებისა და ხედვების შესახებ. პირველი საფეხურის დასრულების შემდგომ, მიღებული და დამუშავებული ინფორმაციის საფუძველზე ხორციელდება სიტუაციის ანალიზი. ანალიზისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს SWOT ან რომელიმე სხვა, აპრობირებული მეთოდოლოგია.

როგორც სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუებით დადგინდა , ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის ეტაპზე სკოლის დირექტორი აქტიურ კომუნიკაციას ამყარებდა სასკოლო საზოგადოებასა და პედაგოგიურ საბჭოსთან, ისმენდა მათ მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს და საჭიროების შემთხვევაში უკუკავშირის გათვალისწინებით უზრუნველყოფდა დასკვნითი დოკუმენტის ფორმირებას.

სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ სრულიად გაითავლისწინეს ექსპერტთა წინა ვიზიტისას მიღებული რჩევები და შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმაში ცვლილების შეტანის მიზნით, ბრძანებით შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეისწავლიდა სკოლაში არსებულ ვითარებას სასწავლო, მატერიალური და ადამიანური რესურსების კუთხით და აღნიშნულიდან გამომდინარე შეიმუშავა სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის პროექტი. დოკუმენტის სრულყოფის შემდეგ კი დაამტკიცა სკოლის დირექტორმა.დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სსიპ ქალაქ თბილისის N176 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,,გ'' ქვეპუნქტის თანახმად, სტრატეგიული გეგმის დამტკიცებას სკოლის დირექტორი უზრუნველყოფს. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ გაცემულ იქნა რჩევა, სკოლამ შესაბამისობაში მოიყვანოს ზემოაღნიშნული მეთოდოლოგია კანონმდებლობასთან , კერძოდ ,,საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს №785 ბრძანების თანახმად, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცებას უზრუნველყოფს სკოლის სამეურვეო საბჭო. ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ გაითვალისწინა რჩევა და სტრატეგიული გეგმა დაამტკიცებინა სამეურვეო საბჭოს. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;**

დაწესებულებამ წარმოადგინა 2023 წლის 29 სექტემბერს დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა. სკოლას აღნიშნულ დოკუმენტში გამოყოფილი აქვს შვიდი სტრატეგიული მიზანი:

- **სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;**
- **ადამიანური რესურსის განვითარება;**
- **მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;**
- **უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;**
- **სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;**
- **მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება;**
- **ორგანიზაციული განვითარება.**

სკოლის სტრატეგიული გეგმაში გაცხადებული სტრატეგიული მიზნები ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს. სტრატეგიული გეგმა ასევე მოიცავს მიზნის მიღწევის გზებს, განსახორციელებელ აქტივობებს, პასუხისმგებელ პირებს და შესრულების ვადებს. მიზნის მიღწევის თითოეულ გზასთან განსაზღვრულია ერთი განსახორციელებელი აქტივობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;**

სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. ექსპერტების მიერ მისი შესწავლის შემდეგ გამოიკვეთა, რომ იგი გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან და თანხვედრაშია სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებთან. როგორც სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუებიდან დადგინდა, SWOT ანალიზიდან გამომდინარე გამოიკვეთა პრიორიტეტები და მათზე დაყრდნობით დაიგეგმა წლის მანძილზე განსახორციელებელი აქტივობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.**

სკოლამ გაითვალისწინა წინა ვიზიტისას ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების დაცვით შეიმუშავა სამოქმედო გეგმის სრულყოფილი დოკუმენტი, რომელშიც ასახულია ინდიკატორით მოთხოვნილი ყველა ინფორმაცია(სტრატეგიული მიზნები, ამოცანები, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, შესრულების პერიოდი, შესრულების ინდიკატორები/ მტკიცებულება, რესურსები)

ექსპერტების მიერ დოკუმენტის შესწავლის შემდეგ გამოიკვეთა , რომ იგი გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან და თანხვედრაშია სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებთან. როგორც სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუებიდან დადგინდა, SWOT ანალიზიდან გამომდინარე გამოიკვეთა პრიორიტეტები და მათზე დაყრდნობით დაიგეგმა წლის მანძილზე განსახორციელებელი აქტივობები. *<u>სკოლას მიეცა რჩევა სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულებისას გაზომვადი ინდიკატორები გამოიყენოს, ასევე რესურსების ნაწილში გამიჯნოს ფინანსური რესურსი.</u>*

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის დამტკიცების ბრძანება
- სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;**

სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი ,, სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია“ ასევე ,,სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“ , რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს (მუხლი 11). შეფასების ანალიზი წარმოდგენილი და გასაჯაროებულია ანგარიშების საფუძველზე. ანალიზის შედეგები გამოიყენება მომდევნო სტრატეგიული გეგმისა თუ სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;**

სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გათვალისწინებულია სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება. ამ მიზნით დირექტორის ბრძანებენით განისაზღვრა სამუშაო ჯგუფი, რომლის ორგანიზებითაც იმართება შეხვედრები სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირებთან. გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშსა და შესაბამის მტკიცებულებებს. ანგარიშის სახით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით კეთდება განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი.

სკოლამ 2023-2024 სასწავლო წლის ბოლოს განახორციელა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;**

როგორც სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუებიდან და სკოლის ვებ-გვერდის https://skolebi.emis.ge/schools/257?schoolName= დათვალიერებით დასტურდება, სასკოლო სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ანგარიშები სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარების მიზნით იტვირთება სკოლის ვებ-გვერდსა , ელექტრონული ფოსტზე, სოციალურ ქსელში შექმნილ დახურულ ჯგუფებში. 2023-2024 სასწავლო წლის ბოლოს განხორციელებული

ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიშის მონიტორინგის და შეფასების შედეგები განათავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე და ამით უზრუნველყო საჯაროობა.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**.

სკოლას უკვე აქვს პრაქტიკა , სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზის საფუძველზე ახალი სამოქმედო გეგმის შედგენისა სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებებისა. 2023-2024 სასწავლო წლის ბოლოს განხორციელებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შედეგები და SWOT ანალიზი სკოლამ გამოიყენა ს შემდგომი განვითარებისთვის და 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია
- სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება
- მონიტორინგი ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანალიზი მონიტორინგის შედეგი

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლას შემუშავებული აქვს ორგანიზაციის სტრუქტურის ამსახველი ორგანოგრამა, დამტკიცებულია საშტატო განრიგი და შინაგანაწესი. სკოლის სტრუქტურა შესაბამისობაშია საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ განსაზღვრულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურასთან, დირექტორის ბრძანებით განსაზღრულია სკოლაში დასაქმებული პირების სამუშაო აღწერილობები. სკოლაში დასაქმებულ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებები შესაბამისობაშია ერთმანეთთან. წარმოდეგნილი დოკუმენტების ანალიზით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სტრუქტუტული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული ბრძანება N 2-419(01.10.2024) ,, სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ ‘’, რომელიც განსაზღვრავს სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებს და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს,ინტერვიუს დროს ნათლად გამოიკვეთა, რომ სტრუქტურულ ერთეულებსა და ერთეულ თანამშრომლებს შორის როგორც ფუნქციები, ისე პასუხისმგებლობები ისეა განაწილებული, რომ მათ შორის დამყარებულია ჯანსაღი ურთიერთობა , ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა 2024 წლის 1 ოქტომბრის შემდგომ დასქმებულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც თანხვედრაში იყო დაწესებულების მიერ დადგენილ მოტხოვნებთან,**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საშტატო განრიგი;
- სკოლის ორგანოგრამა;
- სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციების შესახებ დოკუმენტი;
  პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა'' (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 29 სექტემბერი N21 სხდომაზე),რომლის მიზანია თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა,სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. დოკუმენტის მიხედვით, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების პოლიტიკის ამოცანებია: სკოლის ადამიანური რესურსების მართვა. დასაქმებულთა მუდმივი განვითარება, კვალიფიციური და შესაბამისი კადრების შენარჩუნება/მომზადების მიზნით, კადრების შერჩევის პროცესის ორგანიზმება და მართვა, სამუშაო გარემოსთან ახალი თანამშრომლის ადაპტაცია. წახალისების სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა და სხვ. დოკუმენტი ეფუძნება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2020 წლის 30 ივნისის N67/ნ ბრძანების, „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N241 დადგენილებისა და სხვა სამართლებრივი აქტებს, ვიზიტის ფარგლებში ვიზიტის ფარგლებში მოხდა პერსონალთან გასაუბრება, რომელთა ინტერვიუს შედეგებიდან გამომდინარე ექსპერტებმა დაადგინეს, რომ პროცესები მიმდინარეობს სკოლის მიერ დადგენილი პროცედურების მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

როგორც დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა საჭიროებების დადგენის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც ხორციელდება მხარდამჭერი ღონსძიებები. კოლეგებს შორის ურთიერთობა თანამშრომლობითია - საუკეთესო გამოცდილების და პრაქტიკის გაზიარება მიღებული ფორმაა. სკოლაში მოქმედებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, იღებს საკუთარ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ გადაწყვეტილებებს საჭირო, რეგულაციების შესაბამისი ინტერვენციების შესახებ. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში სკოლა შეძლებს რისკების მართვას და ფუნქციების სხვაზე დელეგირებას, მაგალითის სახით სკოლამ მოიყვანა მასწვლებლის ჩანაცვლების პრაქტიკა სხვა პედაგოგით. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

   დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა სკოლის ახალი თანამშრომლების შერჩევის პროცედურები, რითაც დადგინდა, რომ სკოლა ხელმძღვანელობს თავისივე დადგენილი წესით, კერძოდ ახალი თანამშრომლის დასაქმება განხორციელდა ღია კონკურსის წესით, კანონმდებლობის შესაბამისად, დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით.ინტერვიუ შედგა ახლად დასაქმებულ თანამშრომლებთან, რომლებმაც დაადასტურეს აღნიშნული.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

   ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა სკოლის საინფორმაციო ბაზაში ასახული მონაცემები, როთაც დგინდება , რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს . ყველა დასაქმებულთან გაფორმებულია ხელშეკრულება კანონმდებლობის დაცვით, მათი პოზიციისა და კვალიფიკაციის შესაბამისად.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში ჩამოყალიბებულია გუნდური მუშაობის კულტურა, რაც აისახება როგორც ორგანიზაციულ მართვაში, ისე ყოველდღიურ საქმიანობაში. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს თნამშრომლობის, ურთიერთპატივისცემისა და საერთო მიზნებზე ორიენტირებული მუშაობის საფუძვლებს. სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს გუნდების (დისციპლინური კომიტეტი, გასაუბრების კომისია, მოსწავლეთა თვითმმართველობა, პედსაბჭო, სამეურვეო საბჭო, ფილოსოფიის დაგეგმარების ჯგუფი, ისგ ჯგუფები და სხვა) ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირების შესაძლებლობას. პედაგოგიური და ადმინისტრაციული პერსონალი ჩართულია ერთობლივი მიზნების დაგეგმვასა და განხორციელებაში, გადაწყვეტილების მიღებაში ჩართულია შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, გუნდის შიგნით პასუხისმგებლობების გადანაწილება არის მკაფიო და სამართლიანი, რაც ხელს უწყობს პროცესების ეფექტიან მართვას.**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

დაწესებულებაში სკოლის დირექციასთან და პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ წარმატებული გამოცდილების აღიარების მიზნით გამოყენებულია სკოლის შეხვედრებზე საჯარო მადლობის გამოცხადების პრაქტიკა.ამასთან, სკოლის

შინაგანაწესის მიხედვით, სკოლას აქვს დადგენილი თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები: მადლობის გამოცხადება, ფულადი პრემია და სხვ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებით;
- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- მართვის საინფორმაციო სისტემაში eschool ასახული მონაცემები;
- გასაუბრების შედეგები;
- შინაგანაწესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის/მონიტორინგის პროცესს. აღნიშნული პროცესი ემსახურება დასაქმებულთა განვითარებასა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობას, შესაძლებელს ხდის დასაქმებულთა კვალიფიციურობის ანალიზს სამუშაოს ძირითად მოთხოვნებთან, დასახულ მიზნებსა და ამოცანებთან მიმართებაში. ავლენს სამუშაოს შესრულების ხარისხის განმაპირობებელ გარემოებებს და დასაქმებულთა პროფესიული განვითარების კუთხით დამატებით საჭიროებებს. დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ისე ინტერვიუს შედეგებით გამოიკვეთა, რომ შესრულებული სამუშაოს შეფასება განხორციელდა შემდეგი ფორმით:შეფასება უშუალო ხელმძღვანელის მიერ; თვითშეფასება; შესაბამისი კითხვარების მეშვეობით სასკოლო საზოგადოების მიერ შეფასება;საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება.აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკისა და დირექტორთან ინტერვიუს შედეგად, შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლა გეგმავს მიზნობრივი განვითარების პროცესს;სკოლაში შემუშავებულია შიდა მექანიზმი, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების სახით, მასწავლებლები გამოვლენილი საჭიროების მიხედვით ესწრებიან ტრენინგებს. ამასთან, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს პერსონალის განვითარების ხელშემწყობ აქტივოებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ პერსონალის კარიერული ზრდის მიზნით, შესაბამის ტრენინგებზე ხდება თანამშრომლების გაგზავნა, ასევე კარიერული ზრდის და გამოცდილების გაზიარების მიზნით სკოლის მასწავლებლებს შორის იმართება სამუშაო შეხვედრები. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ,, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი არეგულირებს თანამშრომლის სოციალიზაცია -ადაპტაციის პირობებს,რომლის მიხედვით: ახალდანიშნული თანამშრომლის სოციალიზაცია და ადაპტაცია-ორიენტაციის პროცესის ადმინისტრირებაზე პასუხიმგებელია სკოლის დირექციის წარმომადგენელი.მოცემული პროცედურა მოიცავს ახალმიღებული თანამშრომლების სამუშაოზე მიღებისა და ადაპტაციის ეფექტურად განხორციელების პროცესის აღწერას, თანმიმდევრულ ნაბიჯებსა და საუკეთესო პრაქტიკებზე დაფუძნებულ რეკომენდაციებს. ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის მიზნით, სკოლის დირექტორის მოადგილე აცნობს დასაქმებულებს სკოლის შინაგანაწესს და სხვა

პროცედურებს რაც პირს დაეხმარება ინტეგრაციაში. სკოლის ახალ თანამშრომლებთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ სკოლა ხელმძღვანელობს თავისივე დადგენილი წესებით და პროცედურებით რაც ასახულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა და დგინდება , რომ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები, კერძოდ პედაგოგების მიერ დაგეგმილია სხვადასხვა აქტივობები გამოფენები , სკოლის მოსწავლეების მიზნობრივი ვიზიტები . ამასთან, დაწესებულების წარმომადგენლებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა მუდმივად ითვალისწინებს მასწავლებლების ინიციატივებს და ამ მიზნით კათედრების მომართვის საფუძველზე უზრუნველყოფს მათ ყველა ტიპის საგანმანათლებლო რესურსით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- ახალი თანამშრომლის სამუშაოზე მიღებისა და ადაპტაციის პროცედურა;
- ინტერვიუს შედეეებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს, კერძოდ სკოლის მიერ წარმოდგენილ სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში ნათლად იკითხება ციკლურობა, რომელიც ითვალისწინებს დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედვის ეტაპებს. პროცესული მიდგომა იკვეთება სასკოლო სასწავლო გეგმის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში,კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში,სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებში,აღნიშნულის აღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია ითქვას რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი მარეგულირებელი დოკუმენტების შესწავლის,სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერის ანგარიშის საფუძველზე და ინტერვიუს შედეგების გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის ადმინისტრაცია წარმოადგენს სასწავლო პროცესის ძირითად ღერძს, რომელიც აანალიზებს სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასებასა და მონიტორინგს. ასევე მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს საგნობრივი კათედრები,მოსწავლეთა თვითმმართველობა,სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის შინაგანაწესში. აღწერილია მმართველობითი პროცესები (სკოლის ადმინისტრაციული მართვა, დირექციისა და ადმინისტრაციის ფუნქციები მართვის პროცესში, გაწერილია პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულებები). საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია ნაწილობრივ სკოლის შინაგანაწესში და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში. ძირითადი პროცესი - საგანმანთლებლო პროცესი - ნაწილობრივ აღწერილია სკოლის შინაგანაწესში და სსგ. -ში. მაგალითად, დისციპლინური წარმოება ჩანს - შინაგანაწესში, პროცესები (საკადრო პოლიტიკა, საქმისწარმოების პროცესები და სხვა) აღწერილია სხვადასხვა დოკუმენტებში , როგორიცაა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. ხელშეკრულებები და შინაგანაწესი აწესრიგებს შრომითი ურთიერთობის წარმოშობას

და შრომითი ურთიერთობის პირობებს (სამსახურში გამოუცხადებლობის შეტყობინების წესს, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობას და მიცემის წესს, შვებულებას ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო და სხვა). საქმისწარმოების პროცესები ჩანს სკოლის მიერ შემუშავებული საქმისწარმოების წესში. დაწესებულებაში არსებული დოკუმენტების შესწავლის და ინტერვიუს შედეგებიდან გამომდინარე **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის მიერ წარმოგენილია საჩივრების განხილვის და გადაწყვეტილებების გასაჩივრების მიზნით დოკუმენტი-საჩივრების განხილვის წესი, ამ წესით რეგულირდება განცხადების/საჩივრის წარდგენის წესი, ვადები და გადაწყვეტილებები. ვიზიტის ფარგლებში შესწავლილი იქნა რამდენიმე დისციპლინური წარმოება, რითაც დგინდება, რომ დაწესებულებაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლის ყველა პერსონალის/მშობლის კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით შემუშავებულია სკოლის შინაგანაწესი; ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი;ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი; აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- დისციპლინური კომიტეტის არჩევის ოქმი;დისციპლინური კომიტეტის ოქმები.
- შინაგანაწესი; განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი
- მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობას სკოლის მართვის ორგანოებში, რომლის მიზანია სკოლის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის ხელშეწყობა და დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენა და რეალიზება. სკოლა მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების და უკუკავშირის მიღების მიზნით იყენებს სხვადასხვა ტიპის არხს, მათ შორის, სოციალური ქსელით დაფიქსირებულ მოსაზრებებს, საკომუნიკაციო მესენჯერ - ჯგუფებსა, რეგულარულად ატარებს კვლევებს, კითხვარების საშუალებით , რომლის საფუძველზე იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

ყველა მასწავლებელი არის ჩართული მართვის კოლეგიალურ ორგანოში (პედაგოგიური საბჭო), სადაც გადაწყვეტილებების მიღებაში ყველა თანაბრად იღებს მონაწილეობას, გამოხატავს საკუთარ აზრს და იზიარებს სხვებისას ხოლო გადაწყვეტილებები მიიღება გააზრებულად და ანალიზის საფუძველზე. სკოლაში დასაქმებულ პირებს აქვთ თანაბარი შესაძლებლობა საკუთარი მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად.მოსწავლეთა თვითმმართველობასაც ჰყავს საკუთარი წარმომადგენელი. დისციპლინური კომიტეტი მოსწავლეებით, მშობლებით და პედაგოგებით არის დაკომპლექტებული, რაც თავის მხრივ ხელშემწყობი გარემოა სასკოლო ცხოვრებაში სასკოლო საზოგადოების ჩართვისთვის.სკოლაში აქტიურად მუშაობს სამეურვეო საბჭო,მრჩეველთა საბჭო.ზემოაღნიშნული სტრუქტურული ერთეულებში თანამშრომლობა ხელს უწყობს სკოლის ცხოვრებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- გამოკითხვის ფორმები და ანალიზის შედეგები.;
- კოლეგიალური სხდომის ოქმები;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. კერძოდ: შემუშავებულია უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი, წარმოდგენილია შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №370 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“ მოთხოვნების დასაკმაყოფილებად სკოლას უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის თხოვნით გაგზავნილი აქვს კორესპონდენცია.ამასთან, სკოლამ წარმოადგინა სახელმწიფო შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რითაც დგინდება ახალი სახანძრო სისტემის მოწყობა-შეძენა. სკოლას კანონმდებლობის შესაბამისად შეთანხმებული აქვს შესაბამის უწყებასთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.სკოლაში დასაქმებული არიან მანდატურები, დამონტაჟებულია უსაფრთხოების კამერები.დაწესებულების დოკუმენტაციის შესწავლის, სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიურების და ვიზუალური დათვალიერების შედეგად **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

დაწესებულებაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისადაა აღჭურვილი, დასაქმებულია ერთი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმი, ხოლო მეორე ექიმის კვალიფიკაცია არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, რისთვისაც დაწესებულებას გამოცხადებული აქვს ვაკანსია, მოსწავლეებთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა , რომ მათთვის ცნობილია პირველადი გადაუდებელი დახმარების მიზნით რა პროცედურები უნდა გაიარონ და ვის მიმართონ, აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, სკოლაში დასაქმებული არიან მანდატურები, უცხო პირთა გადაადგილების შეზღუდვის მიზნით სკოლაში განსაზღვრულია კარისკაცი, რომელიც სპეციალურ რეესტრს აწარმოებს, ფუნქციონირებს მასწავლებელთა მორიგეობა, დასაქმებული არიან დარაჯები, სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს დროს სკოლის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ სახელდება მოსწავლეთა უსაფრთხოება და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლაში დასაქმებულია ფსიქოლოგი , ამასთან დაწესებულებაში ფსიქო-ემოციური უსაფრთხო გარემოს ფორმირების მიზით შემუშავებულია და დამტკიცებულია ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია. სასკოლო საზოგაოდებასთან ინტერვიუს დროს სკოლის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ სახელდება მოსწავლეთა უსაფრთხოება , საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს ფორმირება . აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, სკოლაში დასაქმებულლი არიან დამლაგებლები, ვიზუალური დათვალიერებით სკოლაში დაცულია ჰიგიენური მდგომარეობა, აღნიშნული დაადასტურეს ინტერვიუს დროს მოსწავლეებმა და მათმა მშობლებმაც,აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

დაწესებულებაში პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით შემუშავებულია შიდა ინსტრუქცია, სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად ცდილობს დაიცვას დადგენილი მოთხოვნები, დაწესებულებას მიეცა <u>რჩევა დაასაქმოს</u> რეგისტრირებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი,ინდიკატორი **დაკმაყოფილებულია.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს, ახორციელებს დასაქმებულ პირთა და მოსწავლეთა ინფორმირებას ინფორმაციული უსაფრთხოების არსსა და მნიშვნელობაზე. სკოლაში გამოიყნება მხოლოდ ლიცენზირებული პროგრამები, სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება ვებგვერდზე. განსაზღვრულია ვებგვერდზე პასუხისმგებელი პირი,დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით და ვიზუალური დათვალიერებით სკოლის საქმისმწარმოებელთან არის დაცული სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც შენახულია და ხელმისაწვდომი არ არის, ხოლო საარქივო მასალები ინახება ცალკე გამოყოფილ სივრცეში.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასების მიზნით, სკოლის დირექტორი წარუდგენს ანგარიშს მრჩევლეთა საბჭოს, ხოლო საბჭო იძლევა სხვადასხვა ტიპის რეკომენდაციებს, რომელიც დაწესებულებას ეხმარება არსებული უსაფრთხოების პროცესების პერიოდულ თვითშეფასებაში.გარდა ზემოაღნიშნულისა დაწესებულების დირექტორის განმარტებით, სკოლა იყენებს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის მეთოდს , რითაც ადგენს და აფასებს დაწესებულებაში ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების ეფექტიანობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დამლაგებლებთან გაფორმული ხელშეკრულებით;
- დარაჯთან გაფორმებული ხელშკრულებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის და მონიტორინგის მექანიზმებით

- ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

დაწესებულებამ წარმოადგინა განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან , რომლის მიხედვით, დაწესებულების მისამართია:ქ ალაქი თბილისი,ვარკეთილის დასახლება, მე-4 მ/რ, მე-2 რიგი.

უძრავი ქონების საკადასტრო ნომერია N 01.19.36.006.021

მიწის დაზუსტებული ფართობია:6075.00 კვ. მ

შენობა-ნაგებობის საერთო ფართია: 7518.97 კვ. მ

სკოლას სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს ქონება სახელმწიფოსგან უვადოდ.

სკოლის შენობა ორი კორპუსისგან (ოთხი სართული და ორი სართული) შედგება, რომელიც ერთმანეთს უკავშირდება გადასასვლელი დერეფნით.ძირითადი შენობის პირველ სართულზე განთავსებულია- 4 საკლასო ოთახი, მანდატურის, დარაჯის, ექიმის, რესურს ოთახები და კაბინეტები.სველი წერტილები, იჯარის ფორმით გაცემული ოთახები.დამხმამე ფართი სამეურნეო საქონლის მარაგებსთვის.

მეორე სართულზე- დირექტორიის და ადმინისტრაციის ოთახებია, კანცელარია,8 საკლასო ოთახი, მცირე საკონფერენციო დარბაზი,სველი წერტილებია განთავსებული;

მესამე სართულზე-9 საკლასო ოთახი, ქიმიის კლას-კაბინეტი (დამხამრე ფართით), ბიოლოგიის კლას-კაბინეტი(დამხმარე ფართით), სველი წერტილები, კომპიუტერული კლასია, სადაც სასწავლო მიზნით16 პერსონალური კომპიუტერი და 10 ლეპტოპია განთავსებული, სკოლაში ასევე 8 პროექტორია, რომელიც კათედრებს აქვთ გადაცემული.

მეოთხე სართულზე - ფიზიკის კლას-კაბინეტია (დამხმარე ოთახით), სამასწავლებლო,10 საკლასო ოთახია.

მეორე კორპუსის პირველ სართულზე - სპორტული დარბაზია გასახდელებით, კვების ობიექტი;

მეორე სართულზე-ბიბლიოთეკა (თაორებზე განთავსებული წიგანდი ფონდით, სამკითხველო ზონით, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერით), სააქტო დარბაზი,დამხმარე ფართებია.

აღსანიშნავია, რომ სკოლას აქვს ფართი სარეაბილიტაციო, სადაც წარსულში საცურაო აუზი იყო გათავსებული.

სკოლა ორ ცვლაში ახორციელებს სწავლებას, ვიზუალური დათვალიერებით საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით და სკამებით, დაფებით, კარადებით, დამხმარე ინვენტარით,ინვენტარი ვიზუალურად სუფთა და მოწესრიგებულია. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

მოსწავლეებისთვის სკოლაში არსებობს რეკრეაციული სივრცეები (დერეფანი, ეზო) სხვა მოსწავლეებთან ან მასწავლებლებთან კომუნიკაციისთვის. ასევე, სკოლაში არსებობს სივრცე მოსწავლეთა პრაქტიკული აქტივობებისთვის(სააქტო დარბაზი).დაწესებულებაში ვიზიტის დროს არ იყო მოწყობილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლამ მიმართა შესაბამის უწყებას კორესპონდენციით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რითაც ლაბორატორიის მოწყობის მიზნით განსაზღვრულია ვადები და აქტივობები (23.09.2026 წლამდე 12 თვე).აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება როგორც **მეტწილად შესაბამისი.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.დაწესებულებაში დასაქმებულია ბიბლიოთეკარი, შერჩევითი პრინციპით დათვალიერებისას დადგინდა, რომ სკოლაში დაცულია საბიბლიოთეკო წესით რეგისტრირებული სახელმძღვანელოები, მხატვრული და პროფესიული ლიტერატურა. ვიზუალური დათვალიერებით გამოიკვეთა , რომ სკოლის ბიბლიოთეკაში უახლესი თანამედროვე მხატვრული ლიტერატურა არ არის ხელმისაწვდომი, ვიზიტის ფარგლებში ბიბილიოთეკართან გასაუბრებით დადგინდა, რომ რამდენიმე წელია მხატვრული ლიტერატურით არ

მომხდარა ბიბლიოთეკის შევსება,სკოლამ ვიზიტის ფარგლებში გაითვალისწინა ექსპერტების რჩევა და წარმოდგინა მხატვრული ლიტერატურის შესყიდვის დოკუმენტაცია, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლის შენობა ვერ ქმნის ინკლუზიურ გარემოს. შენობაში არ არის ლიფტი და/ან პანდუსები (არ არის ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის), ეტლით მოსარგებლე პირები ვერ შეძლებენ სკოლის შიგნით გადაადგილებას. დაწესებულებამ წარმოადაგინა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან გაგზავნილი კორესპონდენცია (MES 650555; 06.06.23), რითაც ის პანდუსის მოწყობის საკითხით მიმართავს სააგენტოს.აღნიშნული გათვალისწინებულია სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში (23.09.2026 წლამდე ,12 თვე).ინდიკატორი **მეტწილად შესაბამისად ფასდება.**

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სასწავლო შენობა და მასში არსებული სივრცეები: საგნობრივი კაბინეტები, სპორტული სივრცე, ეზო და საკლუბო ოთახი (თვითმმართველობის სივრცე) მიზანმიმართულად გამოიყენება კულტურული ღონისძიებების, საგანმანათლებლო პროექტებისა და არაფორმალური აქტივობებისთვის. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა თვითგამოხატვასა და შემოქმედებით ჩართულობას, რაც ხორციელდება როგორც შიდა, ასევე საზოგადოებაზე ორიენტირებული ღონისძიებებით. ამ პროცესში აქტიურად ერთვებიან მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები . სასკოლო საზოგადოების წევრებთან ინერვიუს დროს სკოლის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ სახელდება არაფორმალური განათლება, რისტვისაც სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- ბიბლიოთეკის მუშაობის წესი;
- ბიბლიოთეკართან გაფორმებული ხელშეკრულება;
- ვიზუალური დათვალიერებით;

ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია, ასევე, დაწესებულების სარგებლობაში არსებული კომპიუტერული ტექნიკა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სკოლას აქვს როგორც პერსონალური ისე პორტატული კომპიუტერები, პრინტერები და პროექტორები.ვიზუალური დათვალიერებით სკოლაში ინტერნეტით სარგებლობა შესაძლებელია ნებისმიერ ოთახში, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

დაწესებულებაში დამტკიცებულია ,,მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი", რომლის მე-6 მუხლი განსაზღვრავს მოსწავლეების, მასწავლებლების და სკოლის სხვა თანამშრომლების კომპიუტერული ტექნიკის მოხმარების წესს. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი სკოლის ვებ. გვერდის ადმინისტრირებაზე. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა დადგენილი პროცედურებით ისარგებლონ ინფორმაციული ტექნოლოგიებით.**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვიზუალური დათვალიერებით;

- საინფორმაციო ტექნოლოგიების ფლობის დოკუმენტაციით;
- ,,მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“,

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი, რომელიც შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით და ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. დაწესებულებაში კანონით დადგენილი წესით იწარმოება სარეგისტრაციო ჟურნალები, რომლებიც ექსპერტებმა ვიზიტის მიმდინარეობისას დაათვალიერეს და დაადგინეს შესაბამისობა საქმისწარმოების არსებულ წესთან. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

დაწესებულებაში ვიზიტისას შერჩევითი პრინციპით დათვალიერებისას eflow - ს სისტემაში გატარებულია ყველა დოკუმენტი. სკოლას აქვს ESCHOOL.EMIS.GE ერთიანი ბაზის სისტემა, სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. აღნიშნულ ბაზაში მუშაობს საქმეთამმართველი .მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eSchool-ის სისტემის მეშვეობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემა, სკოლას აქვს ESCHOOL.EMIS.GE საკუთარი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

ვიზიტის ფარგლებში შერჩევითი გზით გადამოწმდა რამდენიმე კორესპონდენცია, რითაც დგინდება, რომ სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირს და ინფორმაციას საგანმანათლებლო მარეგულირებელ უწყებებს. აღნიშნული დასტურდება შემოსული და გასული კორესპონდეცნიების ჟურნალში გატარებული მონაცემებითაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
- შემოსული და გასული კორესპონდენციებით;
- საქმისმწარმოებელთან გასაუბრებით;
- ინტერვიუს შედეგებით.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით; დაწესებულება ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებგვერდის გზით ,ამასთან საკომუნიკაციო არხად იყენებს ასევე სკოლის ოფიციალურ ფეისბუქის გვერდს და სკოლის ელ, ფოსტას;სასკოლო საზოგადოების წევრებტან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელში დახურულ ჯგუფებს მშობლებთან კომუნიკაციის მიზნით, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. აღნიშნული დასტურდება სკოლის საინფორმაციო დაფაზე გამოკრული განცხადებებით და სკოლის ვებ გვერდით.აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა აქტიურად იყენებს საზოგადოების უკუკავშირს საკუთარი საქმიანობის შეფასაფასებლად და შემდგომ გასაუმჯობესებლად, კერძოდ დასახელდა სოციალურ ქსელში გამოხმაურებები, ასევე იმ გამოკითხვის შედეგების ანალიზი, რომელსაც დაწესებულება პერიოდულად ატარებს. წარმოდგენილ იქნა კვლევის კითხვარები და ანალიზი.ასევე ხარისხის მართვის მენეჯერის ანგარიში, აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, https://skolebi.emis.ge/schools/257?schoolName= **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ. გვერდი ინფორმაციულია და დაინტერესებულ პირებს აწვდის ინფორმაციას სკოლის ფილოსოფიის, სტრუქტურის, პროგრამების შესახებ. აგრეთვე, დეტალურად აღწერს ჩარიცხვის პროცედურებს, გასაჩივრების მექანიზმებს, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნებს, გასაჩივრების მექანიზმებს და ა.შ..**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ-გვერდის დათვალიერებით;
- მართვის საინფორმაციო სისტემის დათვალიერებით; https://skolebi.emis.ge/schools/257?schoolName=

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის დაფინანსების წყაროა „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებით გათვალისწინებული ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერი. დაფინანსების წყაროები ასახულია სკოლის ბიუჯეტში და მიემართება სკოლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობების განხორციელებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის ბიუჯეტის განკარგვას სკოლის დირექტორი უზრუნველყოფს, ფინანსური ანგარიშგება კანონმდებლობით დადგენილი წესით ხორციელდება და შესრულების ანგარიში წარედგინება ფინანსურ სამსახურს. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დამტკიცებული ბიუჯეტით;
- ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებით;
- დაფინანსების ანალიზის შედეგებით;
- სკოლის ფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის შედეგებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფელბების დასაცავად სკოლაში მოქმედებს სხვადასხვა მარეგულირებელი დოკუმენტი. კერძოდ, როგორიცაა შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი, მოსწავლეთა მხარდაჭერის მექანიზმი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი, პირველადი დახმარების აღმოჩენის ინსტრუქცია, გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცედურა და სხვა .

შიდა სასკოლო ყველა რეგულაცია ემსახურება სკოლაში მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებას და მათი ინტერესების დაცვას.

სკოლის მოსწავლეებისთვის სკოლაში შექმნილია თანაბარი პირობები განათლების მისაღებად,აღნიშნული დასტურდება მოსწავლეებთან ინტერვიუს შედეგებიდანაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;**

სკოლის მიერ შემუშავებული რეგულაციები ხელმისწავდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან, რითაც სკოლა უზრუნველყოფს პროცედურებისა და ინფორმაციების გამჭვირვალეობასა და ხელმისაწვდომობას.

სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს მოსწავლის უფლებებსა და კანონიერ ინტერსებს. შინაგანაწესს.წლის დასაწყისშივე აცნობენ კლასის დამრიგებლები მოსწავლეებსა და მშობლებს, რაც დასტურდება მათთან ინტერვიუებიდანაც.ასევე , გამოკრულია ყველასთვის თვალსაჩინო ადგილზე და ატვირთულია სკოლის ვებ-გვერდზე.

ასევე პედაგოგებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ სკოლასთან ხელშეკრულების დადების შემდეგ , სკოლის შინაგანაწესი გასაცნობად გაეგზავნათ ელექტრონულ ფოსტაზე .**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.**

ექპრეტების მიერ შესწავლილი იქნა სამივე საფეხური სკოლის მიერ მოსწავლეთა მშობლებთან დადებული ხელშეკრულებები, რომელიც შეესაბამება განათლების სფეროში მოქმედ კანონმდებლობას. ხელშეკრულება ფორმდება ორ ეგზემპლარად , მასში მკაფიოდ გაწერილია სკოლის ვალდებულებები, მშობლისა და მოსწავლის უფლება-მოვალეობები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. რაზე შეთანხმებასაც ორივე მხარე ადასტურებს ხელის მოწერით, ხელშეკრულების ერთი ასლი რჩება სკოლაში, - მეორე კი ეძლევა მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. მშობელსა და სკოლას შორის ასევე გაფორმებულია ხელშეკრულება სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის შესახებ, სადაც აღწერილია მშობლის, მოსწავლის და სკოლის უფლება-მოვალეობები. ჩამოთვლილი ხელშეკრულებები შეესაბამება დადგენილ კანონმდებლობას .**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია;
- შინაგანაწესი;
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი;
- მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება სახელმძღვანელოებზე;
- მშობელთან ურთიერთობის დებულება;
- სკოლის ვებ-გვერდი.;
- ინტერვიუს შედეგები.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებულია აქვს სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერება-აღდგენის მარეგულირებელი შიდა წესი, რომელიც არეგულირებს მოსწავლის პირველ კლასში მიღების ეტაპებს, განსაზღვრავს წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალს , სხვადასხვა კლასში მოსწავლის მიღების, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის წესს, მობილობის პროცედურასა და სტატუსის შეჩერება _ აღდგენის პირობებს. სკოლა კანცელარიის მეშვეობით აწვდის დაინტერესებულ პირებს ინფორმაციას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სტატუსის მინიჭებისთვის საჭირო ღონისძიებების, პირველ კლასში სსსმ მოსწავლის რეგისტარციისა და ჩარიცხვის ეტაპებისა და პროცედურების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველასათვის. საფეხურის დაძლევის პირობები დარეგულირებულია სასკოლო სასწავლო გეგმაში.შემთხევითი პრინციპით გადამოწმებისას , სკოლის მართვის საინფორმაციო ბაზაში კანონმდებლობის დაცვით ასახული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მონაცემები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

სკოლამ წარმოადგინა მის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული დოკუმენტი ,, მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“ , რომელიც გამომდინარეობს კანონმდებლობიდან. სკოლა დამტკიცებული მექანიზმების შესაბამისად იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების წესს. მოსწავლის პირველ კლასში მიღება ხორციელდება მშობლის განცხადების საფუძველზე, მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში სპეციალურ პორტალზე (registrations.emis.ge) რეგისტრაციისა და კანონმდებლობის შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ.

მობილობის განხორციელება ხდება კანონმდებლობისა და შიდა მქექანიზმების საფუძველზე. მექანიზმებში გაწერილი პროცედურების განხორციელება ასახულია მოსწავლეთა პირად საქმეებში, შესაბამის გრაფებში ინფორმაციის შეტანით. სკოლაში ყველა მოსწავლეზე გახსნილია პირადი საქმე, რომელშიც ინფორმაციის შეტანაზე პასუხისმგებელია კლასის დამრიგებელი.

ვიზიტისას შესწავლილ იქნა მოსწავლეთა პირადი საქმეები, ასევე ექსპერტებმა დაათვალიერეს მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის პროფილი, შეისწავლეს მოსწავლეთა (შერჩევითი პრინციპით) ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურები, სკოლის მიერ გამოცემული შესაბამისი ბრძანებები, რის საფუძველზეც დადგინდა, რომ სკოლა იცავს და კანონმდებლობით დადგენილი პორცედურებით ახორციელებს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცესს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3.სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

დაწესებულების მიერ განსაზღვრული მომსახურების სერვისები , სახეები და მათი პირობები შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების მიხედვით არის განსაზღვრული. მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან ინტერვიუირებისას დადგინდა, რომ საგანმანათლებლო სერვისების შესახებ ინფორმაციას საასწავლო წლის დასაწყისშივე აწვდიან კლასის დამრიგებლები . ასევე, ინფორმაცია თავსდება სკოლის ფოიეში და უზრუნველყოფილია ამ სერვისის მიწოდების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა.

მაგალითისთვის: ბუფეტით სარგებლობის საშუალებას, მეორე ენისა არჩევის უფლებას და კლუბების არჩევის შესაძლებლობას. სკოლის სერვისები ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის თანაბრად.

მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია კი მშობლებს მიეწოდებათ წინასწარ დაგეგმილ ინდივიდუალურ შეხვედრებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.

4.სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

სკოლის მიერ განხორციელებული საქმიანობა საჯაროა. სკოლაში არსებული კლუბების, წრისა თუ სხვა დამატებითი სერვისების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია საინფორმაციო დაფებსა და ატვირთულია სკოლის ვებ-გვერდზე. სკოლა სასკოლო საზოგადოებას მაქსიმალურად მოკლე ვადებში აწვდის ინფორმაციას ცვლილებების შესახებ.აღნიშნული დასტურდება ინტერვიუს შედეგებიდან გამომდინარე.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერება-აღდგენის წესი;

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის საინფორმაციო დაფა;
- მოსწავლეთა ჩარიცხვა-ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების და აღდგენის ბრძანებები;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;

წინა ვიზიტისას სკოლას არ ჰქონდა გაწერილი მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმები. მიმდინარე ვიზიტისას სკოლამ წარმოადგინა მის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი პირველკლასელთა ადაპტაცის (მუხლი 4) , სსსმ მოსწავლეთა ადაპტაცია(მუხლი 5), მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაცია(მუხილ6), საბაზო/საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ადაპტაცია (მუხლი 7). ადაპტაციის წესში განსაზღვრულია სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის მექანიზმები, მათი განხორციელების პროცედურები და პრობლემის გადაჭრის გზები, წარმატებით ადაპტაციის ნიშნები.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;**

როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუირებიდან დადგინდა, ისინი ცდილობენ,მოსწავლეთა სასწავლო გარემოს მიმართ ადაპტაციაზე ზრუნვას. კლასის დამრიგებლებს შემუშავებული აქვთ სამოქმედო გეგმა, რომელიც მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე. წლის დასაწყისშივე აცნობენ შინაგანაწესს,ეხმარებიან სკოლაში ადაპტაციის პროცესში, ხელს უწყობენ

მოსწავლეების გაცნობასა და დამეგობრებას. გარემოს გასაცნობად დამრიგებელი მოსწავლეს ათვალიერებინებს სკოლის შენობას, მათთვის განკუთვნილ სხვადასხვა სივრცეებსა (ბიბლიოთეკა, ლაბოტატორიები...)და სასკოლო რესურსებს. აცნობს სასწავლო რესურსებით სარგებლობის წესებს. ასევე, დამრიგებელი ინფორმაციას აწვდის და ეხმარება მოსწავლეს გაწევრიანდეს კლუბებში.

რაც შეეხება პირველკლასელთა მიღებას და ადაპტაციას, სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლაში მათთვის ეწყობა ღია კარის დღეები, ათვალიერებენ სკოლას, სასწავლო გარემოს, ეცნობიან დამკვიდრებულ წესებს. მოსწავლეთა ადაპტაციის მიზნით ეწყობა საზეიმო მიღება, ხოლო დამრიგებლები საკლასო ოთახს ალამაზებენ ფერადი თვალსაინოებებითა და სხვა სასწავლო რესურსით.აღნიშნული დადასტურდა მშობლებთან გასაუბრების დროსაც.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;**

მშობლებმა და მოსწავლეებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ საგნის მასწავლებლები, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ჩამორჩენის დასაძლევად ხშირად მუშაობენ მოსწავლეებთან ინდივიდუალურად, მათთან შეთანხმებით მოსწავლეებს გაკვეთილების ბოლოს უტარდებათ დამატებითი მეცადინეობები, ძირითადად მათემატიკასა და ფიზიკაში. ასევე შემაჯამებელი წერების წინ საგნის მასწავლებლები საჭიროების მიხედვით უტარებენ კონსულტირებას ტესტში შემავალი საკითხების განსამტკიცებლად . აღნიშნული დაადასტურეს მოსწავლეებმაც გასაუბრების ეტაპზე. მნიშვნელოვანია, რომ სკოლა პასუხისმგებლობით ეკიდება აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და ზოგადად მოსწავლეთა მხარდაჭერას, ამის დასტურია, შეინსწავლების პრაქტიკა, როდესაც მოსწავლე ჯანმრთელობის პრობლემების გამო ვერ ახერხებდა სკოლაში სიარულს, მას დისტანციურად უტარდებოდა გაკვეთილები. აღნიშნული ფაქტიც ასევე დადასტურდა მშობლებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუებიდან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;**

სკოლა მოსწავლეებს და მათ მშობლებს დროულად აწვდის ინფორმაციას სკოლაში დაგეგმილი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების შესახებ. კერძოდ, ექსტერნატის, სემესტრული და წლიური გამოცდების დანიშვნის, სკოლაში დაგეგმილი ნებისმიერი ტიპის ღონისძიების შესახებ.

სკოლა მუდმივად მზადყოფნაშია მოსწავლეების საჭიროებების შესაბამისად განახორციელოს ადმინისტრაციული მხარდაჭერა აკადემიური თუ საორგანიზაციო კუთხით. საჭიროების შემთხვევაში, სკოლა კონსულტაციებს უწევს მოსწავლეებს ექსტერნატის გამოცდების წინ.
სსსმ მოსწავლის შემთხვევაში საგნის მასწავლებლები ცდილობენ დავალებების მორგებას - ადაპტირებას მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით. სკოლას 52 სსმ მოსწავლე ჰყავს. თითოეულითვის მულტიდისციპლინარული ჯგუფის რეკომენდაციების გათვალისწინებით შედგენილი აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. სპეციალური მასწავლებელი წინასწარ შედგენილი გრაფიკის საშუალებით ახორციელებს სსსმ მოსწავლეებთან დამატებით მუშაობას რესურს ოთახში.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;**

ექსპერტების სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა მუდმივად მზადყოფნაშია მოსწავლეების საჭიროებების შესაბამისად განახორციელოს ადმინისტრაციული მხარდაჭერა აკადემიური თუ არაფორმალური აქტივობების ორგანიზების კუთხით. სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია არაფორმალური განათლების გაძლიერება, ამიტომ ორგანიზებას უწევს სხვადასხვა შიდა სასკოლო თუ გასვლით ღონისძიებებს და მასში აქტიურ მონაწილეობას იღებენ მოსწავლეები. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით იხსნება კლუდები და წრეები.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.**

დამატებითი სერვისების დაგეგმვის სკოლა იკვლევს მოსწავლეთა ინტერესებსა და წინა წელს შეთავაზებული სერვისებით/პროგრამებით კმაყოფილებას და უკუკავშირის საფუძველზე ადგენს მომსახურების გაუმჯობესების მექანიზმებს ან/და შეაქვს ცვლილებები. სკოლა მოსწავლეთა საჭიროებების დადგენისთვის იყენებს სპეციალურად შედგენილ მშობელთა და მოსწავლეთა კითხვარებს, რომლის ანალიზის საფუძველზეც იგეგმება გასატარებელი ღონისძიებები მოსწავლეთა მოთხოვნებისა და ინტერესების დასაკმაყოფილებლად.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- აქტივობების ამსახველი მასალები;

- მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი.
- მოსწავლეებთან, მშობლებთან ინტერვიუ

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;**

სკოლა ორიენტირებულია , საბაზო -საშუალო საფეხურის მოსწავლეებს დაეხმაროს მომავალი პროფესიის სწორად არჩევასა და კარიერულ დაგეგმვაში. სადამრიგებლო საათის ფარგლებში მოსწავლეებს აცნობენ სხვადასხვა პროფესიებს, მათ აქტუალობას, სპეციფიკასა და საჭირო უნარებს. საგნის მასწავლებლების მიერ დაიგეგმა მიზნობრივი ექსკურსიები პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, უნივერსიტეტებში. მაგალითისთვის, მოსწავლეებთან ინტერვიუდან დადგინდა , რომ მათ შესაძლებლობა ჰქონდათ სტუმრებოდნენ სამედიცინო უნივერსიტეტს და დაეთვალიერებინათ ლაბორატორიები, ინფორმაცია მიეღოთ სახვადასხვა პროგრამების შესახებ. ასევე მართავენ შეხვედრებს სხვადასხვა პროფესიის წარმატებულ ადამიანებთან . სკოლის დირექტორთან გასაუბრისას გამოიკვეთა, რომ მემორანდუმის გაფორმების მიზნით, სკოლა მოლაპარაკებას აწარმოებს ,,გლდანის პროფესიულ კოლეჯთან„რომელთან თანამშრომლობის გამოცდილებაც უკვე აქვს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;**

ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია საფეხურის დასრულების შემდგომ არსებული კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. პროცესში ჩართულია როგორც დირექცია, ასევე კლასის დამრიგებლები და პედაგოგები. სკოლის წარმომადგენლების განმარტებით მოსწავლეებს მიეწოდებათ სხვადასხვა პროფესიული დაწესებულებების შესახებ ინფორმაცია.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.**

სკოლა იაზრებს რა წინა გამოცდილებასა და სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის მნიშვნელობას, მომავალი წლის სამოქმედო გეგმაში პრიორიტეტების დასახვისას ნელ-ნელა ნერგავს გაწეული მომსახურების შეფასების პრაქტიკას.
სკოლამ ჩაატარა გამოკითხვა კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში მოსწავლეთა მხარდაჭერის პროგრამასთან დაკავშირებით და გეგმავს შემდგომ ეფექტურ ღონისძიებებს ხარისხიანი პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მიწოდების მიზნით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო პროგამები
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინდ. გეგმის შემუშავების ჩარჩო დოკუმენტი;
- რესურს ოთახის დათვალიერება
- სპეციალურ მასწავლებლებთან დადებული ხელშეკრულებით;
- ღონიძიებების ამსახველი ფოტომასალა

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;**

სკოლამ ვიზიტისას წარმოადგინა სსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები. სკოლაში უზრუნველყოფილია სსსმ პირთათვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესი და საჭირო სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურება. სასწავლო წლის დასაწყისში დგება სამოქმედო გეგმა, რომელშიც დეტალურად გაწერილია კონკრეტული აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის სწავლა/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფას. ვიზიტის პერიოდისთვის სკოლას ჰყავდა 52 სსსმ მოსწავლე, თითოეული ჩართულია ზოგად საგანმანათლებლო პროცესში სხვა მოსწავლეებთან ერთად. სკოლა, სასწვლო წლის დასაწყისში, ერთი თვის ვადაში, ქმნის ინდივიდუალურ სამუშაო ჯგუფებს,

რომლებიც თავის მხრივ შეიმუშავებენ მოსწავლეზე მორგებულ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. ინდივიდუალური სასწავლო დაფუძნებული მულტიდისციპლინარული ჯგუფის დასკვნაზე და მაქსიმალურად ითვალისწინებს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას, ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და მისი მიღწევის გზებს,

ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა ზემოაღნიშნული დოკუმენტები, ასევე, მოსწავლეებისთის შექმნილი რესურსები და მოსწავლელბის ნამუშევრები. შედარებული იქნა ინდ გეგმაში გაწერილ აქტივობებთან.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.**

სკოლაში სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდასაჭერად საგნის მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ მიღწეულ შედეგებსა და ეფექტურ სტრატეგიებს. ასევე, სკოლაში შექმნილი ისგ ჯგუფი სამუშაო შეხვედრებზე განიხილავენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების, მოდიფიცირების საკითხებს. სკოლა მშობელს მუდმივ რეჟიმში აწვდის ზეპირი კომუნიკაციის გზით ინფორმაციას მოსწავლის პროგრესსა და მიღწევებზე. სასწავლო წლის ბოლოს ისგ ჯგუფის კოორდინატორი პედაგოგიურ საბჭოს, მშობელს და დირექტორს წარუდგენს ანგარიშს მოსწავლის პროგრესსა და სწავლების შედეგებზე. სკოლის წარმომადგენლებთან საუბრისას იკვეთებოდა , რომ სკოლას გააზრებული აქვს ინკლუზიური განათლების მნიშვნელობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსმ მოსწავლის შეფასება;
- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
- მონიტორინგის ჯგუფი და დებულება
- ისგ ჯგუფის ოქმები.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);**

სკოლას იჯარით აქვს გაცემული ფართები ხატვის, კალათბურთის, მუსიკისა, ცეკვისა და კარატის წრის ფუნქციონირებისთვის, რომლებიც ხელმისაწვდომია სკოლის მოსწავლეებისთვის. ასევე იჯარითაა გაცემული ფართი სკოლის კვების ობიექტისთვის. მომსახურება ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მოპოვების შემდეგ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;**

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხალშეწყობას. მოსწავლეებისთვის შეთავაზებულია ფასიანი წრეების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია სკოლის ფოიეში განთავსებულ საინფორმაციო დაფაზე, მშობელს აქვს არჩევანის საშუალება მიიღოს გადაწყვეტილება ფასიან მომსახურებათან დაკავშირებით.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.**

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი მომსახურების გაწევის პროცესში გათვალისწინებულია უსაფრთხოების ზოგადი წესები. უსაფრთხოების ნორმები რეგულირდება მოიჯარესთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, რომლებშიც გაწერილია მოიჯარის ვალდებულებები და დასაცავი უსაფრთხოების ნორმები. კვების ობიექტის სანიტარული ნორმების დაცვას აკონტროლებს სკოლის ექიმი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- იჯარის ხელშეკრულება;
- ნებართვის წერილები ფართის იჯარით გაცემასთან დაკავშირებით;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი: 16.10.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერერა: